ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

ავთანდილაშვილი ნინო

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის კვლევა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია პროფესიული განათლება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესის მიმდინარეობა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ საუკუნეების განმავლობაში როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე თითოეული ოჯახის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა სწორედ ის პროფესიები, რასაც ჩვენ დღეს მოვიაზრებთ და ვსწავლობთ პროფესიულ განათლებაში: მეღვინეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა (მესაქონლეობა), ფერმერობა, სამედიცინო სფერო, დურგლობა, ხელოსნობა, მშენებლობა და სხვა მრავალი.

დროის ცვილებასთან ერთად შესაძლოა შეიცვალა დასახელებები, მიმართულებები, მნიშვნელობები, თუმცა როგორც ძველ დროში ასევე ახლაც, პროფესიულ განათლებას ჰქონდა და აქვს ერთი მიზანი, დაინეტრესებულ პირს მოკლე დროში, პრაქტიკაში შეასწავლოს მისთვის საინტერესო პროფესია და მისცეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ მან გარკვეული პერიოდის შემდეგ უკვე დამოუკიდებლად შეძლოს დაკისრებული მოვალეობის შესრულება, სწორედ ზემოთ მოყვანილი ფაქტორები და არა მხოლოდ, განაპირობებს ჩვენი თემის **აქტუალობას**.

გამომიდნარე იქიდან, რომ პროფესიული განათლება აქტუალური თემაა და მის ირგვლივ მრავალი კვლევა ჩატარებულა, კონკრეტულად სწავლის პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლევა აქამდე არ ჩატარებულა, ამიტომ ჩვენი საკვლევი თემა **სიახლეს** წარმოადგენს.

ნაშრომის **კვლევის საგანს** წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლევა, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე, ხოლო **კვლევის ობიექტი**- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესი.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის შესწავლა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება
- თეორული და ემპირიული კვლევის ჩატარება
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

საკითხის წინასწარ შესწავლის შემდგომ, ჩამოვაყალიბეთ კვლევის **ჰიპოთეზა**- რომ

- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასაკმარისია სწავლების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.
- მატერიალური-ტექნიკური ბაზა და მასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

ჩვენი კვლევა ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს, ხოლო კვლევის შედეგებიდან გამომდინარე კონკრეტული დასკვნების საფუძველზე ჩვენს მიერ საკითხის წინასაწარ შესწავლის შემდგომ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა გარკვეულწილად დადასტურდა, რომ დღესდღეისობით საქართველოში არსებულ ავტორიზებულ სახელმწიფო საზოგადოებრივ კოლეჯებში პედაგოგები აწყდებიან სწავლების პროცესში სხვასახვა სახის პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

Nino Avtandilashvili

Research of practical application of the material-technical base of vocational education institutions in the course of modular educational programs

Annotation

Master's thesis discusses Vocational Education and teaching process in Vocational Education instututiones.

If we have a look at the history of our country, we will see that during the centuries the main source of income for the family and country itself were professions that we are able to study in Vocational institutions

During the centuries there were so many changes but still, vocational education had and still has the main aim: in a short period of time give practical education, enough knowledge end experience to a person and after a while, that person is able to handle duties. The factores determined above we can consider as a **actuality** of the topic.

Vocational education is an important issue, but still there is no similar research about the material-technical base, so our research will be a **novelty.**

The subject of research is the material-technical base that is used during the teaching process based on Modul programs. **The object of research** is the teaching process in Vocational education institutions.

The goal of the research is to examine practices of the material-technical base

In order to reach these goals, we set the following tasks:

- determining the research methodology
- developing the research tool
- conducting empiric research
- developing conclusions and recommendations

In advance of the research we set Hypothesis that in Vocational educational Institutions During the teaching process, the material-technical base is not enough to conduct high-quality teaching process In vocational educational Institutiones. Eliminate problems during the teaching process will improve the teaching process

სარჩევი

შესავალი 6

თავი I: პროფესიული განათლება- ისტორიული ასპექტები 11

თავი II: პროფესიული განათლება - საერთაშორისო გამოცდილება 15

§ 2.1 პროფესიული განათლება გერმანიაში 16

§ 2.2 პროფესიული განათლება შვეიცარიაში 19

თავი III: საქართველოში არსებული მდგომარეობა პროფესიულ განათლებაში 22

§ 3.1 "საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ" 27

§ 3.2 "საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„ 29

§ 3.3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი 33

კვლევითი ნაწილი 36

დასკვნები 46

გამოყენებული ლიტერატურა: 49

შესავალი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგად გარკვეულწილად გაუმჯობესდა ქვეყნის მდგომარეობა და დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა. მთლიანი შიდა პროდუქტი. „მშპ“-არის ქვეყანაში ერთი წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის და მომსაურეობის საერთო ღირებულება. „მშპ“ არის სწორედ ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რის მიხედვითაც შეგვიძლია ვისაუბროთ ქვეყანაში ეკონომიკის ზრდაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფრომაციაზე დაყრდნობით (2019 წელი, საბოლოო ანგარიში გამოქვეყნდება 2019 წლის ნოემბერში) ბოლო წლების განმავლობაში მშპს პროცენტური ზრდა ფიქსირდებოდა წინა წელთან შედარებით, მაგალითად: თუ 2016 წელს მშპს ზრდამ 2.8% შეადგინა წინა წელთან შედარებით, 2017 წელი მშპს ზრდა იყო 4.8% წინა წელთან შედარებით, ხოლო 2018 წელს 4.7% ზრდა დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით.

	2014	2015	2016	2017	2018*	I 2019*
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი ლარი		29.2	31.8	34.0	37.8	41.1
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში, მილიარდი ლარი		25.6	26.3	27.1	28.4	29.7
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება		4.6	2.9	2.8	4.8	4.7
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება		3.8	5.9	4.2	6.1	3.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი**		7 837.4	8 524.3	9 129.0	10 152.0	11 013.9
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი**		4 438.3	3 754.9	3 857.3	4 046.8	4 345.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი		16.5	14.0	14.4	15.1	16.2

(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ანგარიშები, მშპ)

თუმცა არის რიგი საკითხები და პრობლემები რომლის გადაჭრა და მოგვარება კვლავ დიდ გამოწვევად რჩება, იმის მიუხედავად, რომ ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით ფიქსირდება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, NDI-ის დაკვეთით 2018 წელს ჩატარებული კვლევა (ეროვნული დემკორატიული ინსტიტუტი, საზოგადოების განწყობა საქართველში, 2018) გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის აზრით უმუშევრობა, დაბალი ხელფასები, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, სიღარიბე, ფასების ზრდა არის 5 ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რის წინაშეც ახლა ჩვენი ქვეყანა

დგას. თუმცა ამ 5 პრობლემიდან სწორედ უმუშვერობა და სამუშაო ადგილების სიმცირე გამოკითხულთა 47%-ს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნიათ, არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო ადგილების შექმნას, მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას.

ჩემს მიერ მოყვანილი NDI-ის კვევის შედეგები არის აღნიშნული საკითხის მხოლოდ ერთი მხარე -მოსახლეობის მხრიდან დანახული, თუმცა საკითხის სწორად გასაგებად აუცილებელია ორივე მხარის პოზიციის მოსმენა. მეორე მხარეს წარმოადგენს ბიზნეს სექტორი, დამსაქმებლები, მათი პოზიცია კი შემდეგში მდგომარეობს, რომ პოტენციური დასაქმებულები არ ფლობენ შესაბამის უნარ - ჩვევებს და არ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც ბაზარზე ჩნდება და რასაც თავად დამსაქმებლები ითხოვენ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2015 წელს ჩატარებული „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპეტენციის კვლევის“ შედეგად გამოკითხული ორგანიზაციებიდან 960 ორგანიზაცია განიცდის შრომითი რესურსების ნაკლებობას, ამის ახსნა სწორედ იმ ფაქტით შეგვიძლია, რომ დამსაქმებლები ვერ ახერხებენ შესაბამისი კვალიფიკაციის კადრის მოძიებას, რომელიც მათ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პოზიციები, რომელშიც დამსაქმებლები განიცდიან კადრების ნაკლებობას, ჩამონათვალი ასე გამოიყურება: მედიცინის სპეციალისტები, მეეზოვეები, ბუღალტერი, მიმტანი, მზარეული, კონდიტერი, სამრეწველი სფერო, ჟურნალისტი,მედიცინის პრაქტიკოსი, მაღაზიაში გაყიდვების ასისტენტი. აღნიშნული პრობლემა რომ აღმოიფხვრას აუცილებელია კვალიფიციური კადრები, რომლებიც სრულიად დააკმაყოფილებენ დამსაქმებლის მოთხოვნებს და სტანდარტებს.

ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ვნახეთ ის პროფესიები სადაც ბიზნეს სექტორი ყველაზე მეტად განიცდის სამუშაო ძალის ნაკლებობას, სწორედ აქ შეგვიძლია ვისაუბროთ პროფესიული განათლების საჭიროებაზე და აუცილებლობაზე, რადგან თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიის დაუფლება მოკლე დროში პროფესიულ სასწავლებლებში არის შესაძლებელი. პროფესიული განათლება დაინტერესებულ პირებს სწორედ ისეთ პრაქტიკულ განათლებას აძლევს და

ეხმარება იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს, ხოლო სწავლის დასრულების შემდგომ გვყავს კვალიფიციური კადრი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნებს და სტანდარტებს.

როდესაც ვსაუბრობთ პროფესიულ განათლებაზე აუცილებელია ამ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ყურადღება მივაქციოთ საქართველოში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, უფრო კონკრეტულად კი იმ საკითხს, თუ რა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ფლობენ ისინი, რადგან რაც არ უნდა უმაღლეს დონეზე იყოს საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილი და მორგებული ყველანაირ მოთხოვნასა და სტანდარტს, მნიშვნელოვანია თუ რა გარემო-პირობებში მოუწევთ მოსწავლეებს ცოდნის დაუფლება, რა დონეზეა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილი მატერიალური ტექნიკური ბაზით, იმ რესურსებით, რაც სწავლების პროცესის წარმართვისთვის აუცილებელია, საკმარისად არიან თუ არა დაწესებულებები აღჭურვილნი ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკით, აქვთ თუ არა პროგრამის შესაბამისი ლაბორატორიები პრაქტიკის განსახორციელებლად ასევე სამეცნიერო ტიპის ლაბორატორიები და სხვა.

სწავლების პროცესში ყველაზე პირველად და თვალნათლივ არსებული პრობლემის წინაშე დგება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგი, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ჩვენი თემის კვლევით ნაწილში რესპოდენტებად შეგვერჩია ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯების მოდულური პროგრამის პედაგოგები.

ნაშრომი დაყოფილია რამოდენიმე ნაწილად, თეორიულ ნაწილში **თავდაპირველად** მიმოვიხილავ ისტორიას, თუ საიდან იღებს სათავეს, რა გზები გაიარა გასული საუკუნეების განმავლობაში და როგორ იცვლებოდა პროფესიული განათლების სწავლების პროცესი და მასში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეორე თავი მთლიანად დაეთმობა საერთაშორისო გამოცდილებას, ვნახავთ იმას, არის თუ არა ევროპის წამყვანი ქვეყნებისთვის პრიორიტეტული პროფესიული განათლება და რა ნაბიჯებს დგავენ ისინი ამ კუთხით. კონკრეტულად ვისაუბრებ გერმანიის და შვეიცარიის მაგალითზე, თუ რა გამოცდილებას ფლობენ, როგორ

მიმდინარეობს მათთან სწავლების პროცესი და რა სტანდარტებს აკმაყოფილებს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელსაც იყენებენ სწავლების პროცესში. მესამე თავში დეტალურად განვიხილავთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას, იმ საკანონმდებლო რეგულაციებს რასაც ანხორციელებს ან და რის განხორციელებასაც აპირებს სახელმწიფო პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, ასევე მიმოვიხილავ თუ რა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებობს ამჟამად საქართველოში.

მეოთხე ნაწილი ეთმობა კვლევით ნაწილს.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნები და რეკომენდაციები, არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და პრობლემის აღმოსაფხვრელად რა ნაბიჯები უნდა გადადგას სახელმწიფომ და თავად პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

ზემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული მიზეზებიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ საკვლევი თემა **აქტუალურია**. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული საკმაოდ ბერვი კვლევაა ჩატარებული, კონკრეტულად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლევა არ ჩატარებულა, ამიტომ ჩვენი კვლევა **სიახლეს** წარმოადგეს.

კვლევაზე მუშაობის დროს ჩამოყალიბდა **კვლევის მიზანი-** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის შესწავლა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა
- კვლევის ინსტურენტის შემუშავება
- თეორული და ემპირიული კვლევის ჩატარება
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: **კვლევის საგანი-** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კვლევა, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების მაგალითზე **კვლევის ობიექტი-** პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესი

- **კვლევის სამიზნე ჯგუფი-** პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები.
- **შერჩევა**- მოდულური საგანმანათლებლოი პროგრამების პედაგოგები
- საკითხის წინასწარ შესწავლის შემდგომ ჩამოვაყალიბეთ კვლევის **ჰიპოთეზა**- რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასაკმარისია სწავლების პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის.
- **კვლევის შედეგები-** მოცემულია ნაშრომის კვლევით ნაწილში

თავი I: პროფესიული განათლება- ისტორიული ასპექტები

საუკუნეების განმავლობაში პროფესიული განათლება პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევდა მოსწავლეებს და ამზადებდა მათ მომავალში დასაქმებისთვის. დაზუსტებით არ არის ცნობილი როდის და როგორ დაიწყო და განვითარდა პროფეისული განათლების სისტემა, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. მაგალითად შეგვიძლია გავიხსენოთ ნეო-ბაბილონის იმპერია 626 ძვ.წ, მისი პრაქტიკაზე-ვარჯიშზე დაფუძნებული სწავლების სისტემა, რომელიც გამიჯნული იყო გოგნებისთვის და ვაჟებისთვის, ინტერესის სფეროს შესაბამისად. გოგოები პროფესიულ ცოდნას იღებდნენ ოჯახში დედის დახმარებით, ხოლო ვაჟები მიბარებულები იყვნენ პროფესიონალებთან, რომლებიც სხვასახვა საქმეს ასწავლიდნენ, მაგალითად საბრძოლო აღჭურვილობის დამზადებას და სხვა მრავალი. იმ პერიოდში სწორედ ამგვარი პროფესიები იყო ყველაზე მოთხოვნადი, თუმცა წლების და საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალი და ადამიანებიც ამ მოთხოვნების შესაბამისად ეუფლებოდნენ ახალ პროფესიებს. (Katelyn Brush, 2016)

რაც შეეხება უახლოეს წარსულს, ამ შემთვევაში შეგვიძლია მიმოვიხილოთ მე-20 საუკუნის დასაწყისი, როდესაც პროფესიულმა განათლებამ მნიშვნელოვანი განვითარება დაიწყო (ამერიკაში ეს იყო დიდი დეპრესიის წინა პერიოდი), ქარხნებში არასაკმარისი მუშახელის გამო მათ აქტიურად დაიწყეს ახალგაზრდების, ბავშვების დასაქმება, თუმცა მოგვიანებით 1916 წელს ამერიკამ მიიღო კანონი რომელიც ეხებოდა ბავშვთა შრომას და დასაქმებას და ზღუდავდა ბავშვთა შრომას. კანონის მიღების შემდეგ ქარხნებში კვლავ შეიქმნა მუშახელის პრობლემა. ამიტომ ამერიკის უმაღლესმა სკოლებმა დაიწყეს პროფესიული განათლების პროგრამების შეთავაზება და განვითარება, რათა დახმარებოდნენ ქარხნებს მუშახელის სიმცირესთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრაში, პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების დასრულების შემდეგ კი უკვე გამოცდილი სპეციალისტები მზად იყვნენ დამსაქმებლის მოთხოვნების შესასრულებლად. 1917 წელს „The Smith-Hughes Act" გახდა პირველი

კანონი, რომლის მიხედვითაც ოფიციალურად დაფუძნდა პროფესიული განათლების პროგრამები ამერიკის სკოლებში. (Katelyn Brush, 2016)

როგორც მთელს მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც პროფესიული ცოდნის გადაცემა ადრეული საუკუნეებიდან დაიწყო, ოჯახებში, მშობლებიდან შვილებზე

იმ პროფესიებს, რომლებსაც დღეს ჩვენ შეგვიძლია დავეუფლოთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალიან დიდი ისტორია აქვთ: მეღვინე, ხელოსანი, დურგალი, მკერავი, მშენებელი, ინჟინერი, მეფუტკრე, ასევე სამედიცინო სფერო და სხვა არაერთი პროფესია იყო არის და იქნება ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი, სწორედ ამ პროფესიის ადამიანების ცოდნამ და გამოცდილებამ დღემდე მოგვიტანა მაგალითად ვაზის მოვლის და ღვინის დამზადების წესი და ტრადიცია. მშენებლები, რომლებმაც შესანიშნავი მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა შექმნეს და დაგვიტოვეს VI საუკუნიდან მოყოლებული, (ჯვრის მონასტერი VI ს) პრაქტიკაში მრავალმხრივ გამოცდილი ოსტატები, რომლებიც ცოდნას მათ მოსწავლეებს „შეგირდებს“ გადასცემდნენ, სწორედ მათი დამსახურებით არის საქართველოს როგორც არამატერიალური ასევე მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ჩვენამდე მოღწეული.

საუკუნეების განმავლობაში პროფესიულ განათლების მნიშვნელობაზე და მის აუცილებლობაზე მწერლები, პუბილიცისტები, საზოგადო მოღვაწეები ძალიან ბევრს საუბრობდნენ. ამ შემთხვევაში მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ილია ჭავჭავაძე და მისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ. როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა /„სამეურნეო სკოლას უფრო მეტის მოტანა შეუძლია“/ [*„საჭიროა ისეთის სკოლების დაარსება, რომელშიაც ასწავლიან ჩვენ შვილებს როგორ და რანაირად შეიძლება მცირე შრომით დიდის ნაყოფის მიღება, ამისთანა სკოლებში ნასწავლები ისე ბარგად აღარ ეკიდებიან ოჯახს, როგორც სხვა სკოლებში სწავლადამთავრებული. მე უნივერსიტეტელი გახლავართ და ხვალ რომ სამსახურიდან გამოვიდე, მშიერი მოვკვდები, იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა მისწავლია და სხვა არაფერი. ჩემთვის რომ მიწის დამუშავება ესწავლებინათ ჩინოვნიკადაც გამოვდგებოდი და უჩინოვნკობოდაც მშიერი არ ვიქნებოდი... მე ამ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტის სარგებლის მოტანა შეუძლიან „ /ილია ჭავჭავაძე 1893/]*

როგორც ვხედავთ მე-19 საუკუნეში პროფესიული განათლების საჭიროებაზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ. შეგვიძლია გავიხსენოთ იმ პერიოდში საქართველოში დაარსებული სხვადასხვა ტიპის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

1855 წელს, თბილისსა და ქუთაისში გაიხსნა სოფლის მეურნეობის ხელოსნობის სკოლები, მათი გახსნის ინიციატორი იყო კავკასიური სოფლის მეურნეობის საზოგადოება. მოგვიანებით 1859 წელს გაიხსნა მეღვინეობის სკოლა სოფელ კონდოლში.

აღსანიშნავია 1864 წელს დაარსებული ლოჭინის სკოლა-ფერმა, სადაც მოსწავლეების რაოდენობა დაახლოებით 120-ს შეადგენდა და სწავლის დაწყება შეეძლოთ 16 წლის ზემოთ მყოფ ახალგაზრდებს. , სწავლების მთავარი მიზანი გახლდათ მეხილეობის, მევერნახეობის და სხვა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიების შესწავლა. სწავლის დასრულების შემდგომ სტუდენტს ენიჭებოდა მეცნიერ-მუშაკის წოდება. აქ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და იმ რესურსებს , რაც სწავლების პროცესში აუცილებლობას წარმოადგენდა. რესურებსი ამ შემთხვევაში იგულისხმება ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რაც ფერმას საკუთრებაში ჰქონდა და რისი გამოყენებაც პრაქტიკაში შეეძლოთ პროფეისულ სტუდენტებს.

იმ პერიოდში საქართველოში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში ამზადებნენ სტუდენტებს. შეგვიძლია ასევე აღვნიშნოთ ავლაბრის საწავლებელი, რომელმაც ფუნქციონირება 1878 წელს დაიწყო. თავდაპირველად სასწავლებელს არც თუ ისე ბევრი სტუდენტი ყავდა, მათი რიცხვი 100ს არ აღმატებოდა, თუმცა მოგვიანებით მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. სასაწავლებელს სხვადასხვა სახის სპეციალისტები უნდა მოემზადებინა, მემანქანეები, ოსტატები და სხვა. სასწავლებელი აღჭურვილი იყო ყველა საჭირო დანადგარით და მანქანით, რაც სწავლების პროცესში იქნებოდა საჭირო და აუცილებელი. (Челидзе, 1981)

როგორც ვნახეთ მე-19 საუკუნეში პროფესიული განათლება საკმაოდ პოპულაური გახლდათ, როგორც სწავლების ხარისხი, ასევე სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულიად შეესაბამებოდა და

აკმაყოფილებდა იმ დროისთვის არსებულ მოთხოვნებს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებისთვის სამუშაოს პოვნა საერთოდ არ წარმოადგენდა პრობლემას.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა, პროფესიული განათლება უკვე აღარ სარგებლობდა ისეთი პოპულარობით, როგორც წინა საუკუნეში, იგი აღარ მიიჩნეოდა უმუშევრობის დაძლევის მნშვნელოვან ბერკეტად. იმ დროისთვის მხოლოდ 80 დაწყებითი და 87 საშუალო სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი აგრძელებდა ფუნქციონირებას, 2004 წლამდე კი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 78 მდე შემცირდა. (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2016 წელი, {2101})

ამ პერიოდში დიდ პრობლემას წარმოადგენდა არასაკმარისი დაფინანსება, გამოყოფილი თანხები საკმარისი იყო მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ხარჯების დასაფარად, ხოლო რაც შეეხება სასწავლებლის მატერიალური-ტექნიკური ბაზით აღჭურვას- აღნიშნული საკითხი არც კი განიხილებოდა. აქედან გამომდინარე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან 2005 წლამდე არ განხორციელებულა სერიოზული დაფინანსება ამ მიმართულებით. სწავლების პროცესში არ გამოიყენებოდა რაიმე სახის თანამედროვე ტექნოლოგიები, სასწავლებლებში არ იყო სწავლისთვის საჭირო ლაბორატორიები, კომპიუტერები.

შეჯამების სახით შემიძლია ვთქვა, რომ სწორედ სწავლის შედეგები გამომდინარეობდა სწავლების პროცესიდან, იმ შემთხვევაში თუ სწავლების პროცესში გამოიყენებოდა საკმარისი რესურსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა- მაშინ სწავლის დასრულების შემდგომ პროფესიული სტუდენტი საკმაოდ მაღალი დონის პროფესიულ განათლებას ფლობდა, რადგან მას უკვე საგანმანათლებლო დაწესებულეაბში საკმარისი პრაქტიკა ჰქონდა გავლილი, თუმცა ასევე იყო პერიოდი, როდესაც პროფესიული განათლების დაფინანსებას შეექმნა გარკვეული სახის პრობლემები და ამ შემთხვევაში პროფესიული პედაგოგებიც კი კუთვნილ ანაზღაურებას იღებდნენ თვეებით დაგვაინებით და რა თქმა უნდა ზედმეტია საუბარი ამ პერიოდში პეროფესიული საგანმაანათლებლო დაწესებულებების მატერიალური-ტექნიკური ბაზით აღჭურვაზე.

თავი II: პროფესიული განათლება - საერთაშორისო გამოცდილება

დღესდღეისობით მსოფლიოში პროფესიული განათლება მიჩნეულია, როგორც განვითარებული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც კარგად აბალანსებს სტუდენტებისთვის ერთდროულად პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გადაცემას.

აღსანიშნავია ევროპის ქვეყნები, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა პროექტებს ამუშავებენ, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, ამის საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ლისაბონის სტრატეგია (მარტი, 2000) (ბაქრაძე ღლონტი, 2006 წელი). სტრატეგიის მიხედვით ევროპაში უნდა შეიქმნას ისეთი ეკონომიკა, რომელიც იქნება განათლებაზე და ცოდნაზე დაფუძნებული.

„ევროპა 2020“ – („ევროკავშირის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია „ევროპა 2020“)- აღნიშნულ სტრატეგიაში სხვა მრავალ საკითხთან ერთად ასევე საუბარია იმ ცვლილებებზე და პროცესებზე რომელიც ამჟამად მიმდინარეობს პროფესიული განათლების მიმართულებით.

ბრიუგეს კომუნიკე - ორიენტირებულია პროფესიული განათლების განვითარებაზე, რომელიც უნდა იყოს ყველა დაინეტრესებული პირისთვის ხელმისაწვდომი, ხელი უნდა შეუწყოს ხარისხიანი განათლების მიღებას. ბრიუგეს კომუნიკეს მრავალი ამოცანიდან ერთერთია პარტნიორების ჩართულობა და სხვადასხვა პარტნიორების უკვე დაგროვებული გამოცდილების გაზიარება.

აღსანიშნავია „კოპენჰაგენის პროცესი“, რომელიც 2002 წლიდან აქტიურაც ცდილობდა წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის უფრო უკეთესი და მიმზიდველი გაეხადა პროფესიული განათლება. აქვე უნდა აღვნიშნოთ დეკლარაცია, რომელიც 2002 წელს იქნა მიღებული ევროკომისიის მიერ - „პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ სწორედ ეს დეკლარაცია უდევს საფუძვლად კოპენჰაგენის პროცესს.

პროცესი დაფუძნებულია საერთო პრინციპებზე და შეხედულებებზე, რომელიც მუდმივად მოწმდებოდა „Cedefop” ის (European Centre for the Development of Vocational Training)) მიერ. (ბაქრაძე ღლონტი, 2006 წელი).

„Cedefop" - (European Centre for the Development of Vocational Training))- დაფუძნდა 1975 წელს, რომელიც ხელს უწყობს ევროპაში პროფესიული განათლების განვითარებას, ამისთვის მუდმივი და ახლო კავშირი აქვს ევროპულ კომისიასთან, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებთან, მკვლევარებთან, ჩართულებია რიან სხვადასხვა პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

§ 2.1 პროფესიული განათლება გერმანიაში

როდესაც ვსაუბრობთ პროფესიულ განათლებაზე, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება გერმანიის მაგალითზე, რადგან ეს არის ქვეყანა, რომელმაც სწორი სტრატეგიის და რეფორმების შედეგად მოახერხა ის, რომ დღესდღეისობით ევროპაში დაწინაურდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა პროფესიული განათლების კუთხით. (Federal Ministry of Education Research BMBF, report on Vocational Education and Training. 2015)

როდესაც გერმანიაზე ვსაუბრობთ უნდა აღვნიშნოთ "The federal institute for Vocational Education and Training" - BIBB – პროფესიული განათლების და სწავლების ფედერალური ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნდა პროფესიული განათლების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, 1970 წელს. დღეს იგი აღიარებულია, როგორც გერმანიაში პროფესიული განათლების კვლევის და მომზადების საუკეთესო ცენტრი. ცენტრი ხელს უწყობს დამსაქმებლებსა და ფედერალურ მთავრობას შორის კოორდინაციას.

ყოველწლიურად გერმანიაში დაახლოებით 1.3 მილიონი სტუდენტი გადის აღნიშნულ პროგრამას, მათგან დაახლოებით 500 000 სწავლის დასრულების შემდგომ ეუფლება მაღალკვალიფიციურ პროფესიას.

ცნობილი ხდება, რომ გერმანიაში ყველაზე მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალას განათლება მიღებული აქვთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განათლების დუალური სისტემით. ინსტიტუტს დუალური სისტემა პროფესიული განათლების გულად მიაჩნიათ.

ზოგადი განათლების მიღების შემდგომ მოსწავლეების 1/3 სწავლას აგრძელებს პროფესიულ საგანმანათლებო დაწესებულებებში და პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავებულების 68% მუშაობას იწყებს სწორედ იმ ორგანიზაციებში.

გერმანიის პროფესიული განათლების სტრუქტურა სრულიად დუალურ განათლებაზეა გადასული, რაც ნიშნავს კურსის განმავლობაში 2 კომპონენტიან სწავლებას: პირველი მოიცავს თეორიულ სწავლებას და მეორე უკვე პრაქტიკას ორგანიზაციაში. სწავლების ხანგრძლივობა მოიცავს 2 დან 4 წლამდე პერიოდს, დამოკიდებულია პროფესიაზე. სტუდენტები კვირაში რამოდენიმე დღეს ან საჭიროებიდან გამომდინარე კვირებსაც ატარებენ პროფესიულ სკოლებში, სადაც იღებენ პროფესიულ ცოდნას მათი არჩეული პროფრსიიდან გამომდინარე. სწავლის პერიოდში სტუდენტები 40% თეორიის შესწავლას უთმობენ, ხოლო 60% უკვე პრაქტიკას ეთმობა კომპანიაში. ცხადია პრაქტიკული გაკვეთილები მიმდინარეობს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. გერმანიის პროფესიული ტრენინგის პროგრამა გვთავაზობს 330 ოფიციალურად აღიარებულ პროგრამას სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკას გადიან სხვადასხვა კომპანიებში ყოველთვიურად იღებენ ანაზრაურებას დაახლოებით 800 ევროს ოდენობით, რა თქმა უნდა ანაზღაურება მზარდია. ინფორმაციით გერმანიაში დასაქმებულთა 51%-ს სწორედ პროფესიული განათლება აქვთ მიღებული. გერმანიაში სულ დაახლოებით 2.1 მილიონი მცირე თუ დიდი კომპანიაა დარეგისტრირებული, მათგან 21% ანუ დაახლოებით 430 000 კომპანია აქტიურად თანამშრომლობს VET-თან. (Hockenos, 2018)

გერმანიაში პროფესიულ განათლებას არ ყავს მხოლოდ 1 მარეგულირებებლი ძალა. მისი მმართველი ერთეულები გაყოფილია 4 თანაბარი უფლებების მქონე მხარედ: 1) დამსაქმებელი 2) პარტნიორები 3) ადგილობრივი მთავრობა 4) ფედერალური მთავრობა. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა რაიმე სახის რეფორმა, ცვლილლება თუ განხილვა, ოთხივე მხარის მონაწილეობა და დასტური აუცილებელია. იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი კანონი ან და კანონქვემდებარე აქტი აქტი მიღებულია ოთხივე წარმომადგენლის მონაწილეობით და დასტურით, მათი მნიშვნელობა და ხარისხი საკმაოდ მაღალია ნებისმიერ სექტორში.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი და როგორია სწავლების პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივაც სრულიად მოწესრიგებულია გერმანიაში სისტემა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მატერიალური-ტექნიკური ბაზის მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მხრიდან. დაწესებულებებში უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული სამეცნიერი, კვლევითი, პრაქტიკის განსახორციელებელი ლაბორატორიები შესაბამისი და საჭირო ტექნიკით აღჭურვილი. თეორული ცოდნის მიღების შემდეგ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას გადიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც სიმულატორებით ასევე პროგრამის შესაბამისი საჭირო ტექნიკის დახმარებით.

ბიბლიოთეკა- როგორც ბეჭდური სახით ასევე ელექტრონულ ბაზაზე არსებული მუდმივად განახლების პროცესშია, მუდმივად ხდება ძველი მასალის ჩანაცვლება და ახალი მასალის დამატება. (Hockenos, 2018)

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის დახმარებით, იმ რეფორმების და სიახლეების დანერგვით რაც მათ განახორციელეს წლების განმავლობაში ძალიან სწორდი და კარგი შედეგი მოიტანა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანიაში ადგილობრივებისთვის პროფესიული განათლება პრიორიტეტულია და მათ იციან რომ პროფეისულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლებით სწავლის დასრულების შემდგომ კარგი სამსახურის პოვნა შეუძლიათ შესაბამისად კარგი ანაზღაურებით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანიაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი სწავლების პროცესში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, რაც სწავლის შედეგზე პირდაპირ აისახება. პროფესიულ სტუდენტს სწავლების პროცესში უკვე იმდენად აქვს ხელი გაწაფული თავის საქმეში, რომ მუშაობის დაწყების შემდგომ მისთვის არც სრითულეებს და არც სიახლეს არ წარმოადგენს ის კონკრეტული საქმე, რისი შესრულებაც უწევს.

§ 2.2 პროფესიული განათლება შვეიცარიაში

შვეიცარია ერთ-ერთი დაწინაურებული და წამყვანი ქვეყანაა პროფესიული განათლების კუთხით, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბენჩმარკინგის ცენტრმა 2015 წელს გამოაქვეყნა ანგარიში შვეიცარიის შესახებ. ბენჩმარკინგი არის ცენტრი, რომელიც ატარებს კველევებს მსოფიოში ყველაზე დაწინაურებული საგანმანათლებლო სიტემების შესახებ.

შვეიცარიის პროფესიული განათლების და ტრენინგის პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს გახდნენ კვალიფიციური მუშახელი და შევიდნენ შრომის ბაზარზე. პროგრამას პირდაპირი კავშირი აქვს შრომის ბაზართან, სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც შვეიცარიაში ახალგაზრდების უმუშევრობა ძალიან დაბალ ნიშნულზეა მთელს ევროპაში.

სკოლის ბოლო საფეხურზე მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში ან აირჩიონ პროფესიული განათლება. სავალდებულო საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ მოსწავლეების 2/3 სწავლას აგრძელებს პროფესიულ სასწავლებლებში.

შვეიცარიაშიც სწავლა დუალური პრინციპით მიმდიარეობს, თავდაპირველად სტუდენტები იღებენ თეორიულ ცოდნას კონკრეტლ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო პარალელურად უკვე კომპანიაში ან საწარმოში პრაქტიკაში ანხორციელებენ ცოდნას.

შვეიცარიაში, ისევე როგორც გერმანიაში სტუდენტების 30%-დან 70% მდე უპირატესობას ანიჭებენ სწორედ რომ პროფესიულ განათლებას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შვეიცარია დახლოებით 20 წლის განმავლობაში აქტიურად ეწეოდა პროფესიული განათლების მოდერნიზაციას, ნერგავდა ახალ სტანდარტებს და პრინციპებს, აყალიბებდა განვითარების სტრატეგიას და ალბათ სწორედ ეს 20 წლიანი აქტიური მუშაობის პერიოდი შეგვიძლია მივიჩნით იმის წინაპირობად, რომ დღეს შვეიცარიის პროფესიული განათლების სისტემა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერად მიიჩნევა ევროპაში.

როგორც ცნობილია შვეიცარიაში ბიზნესს სექტორს პირდაპირი კავშირი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სწორედ მათი მითითებების საფუძველზე დაწესებულებები ადგენენ სასწავლო პროგრამებს და მოგვიანებით

ბაზარზე წარმოქმნილი ცვლილებების გათვალისწინებით, ბიზნესს სექტორის დაკვეთით ხდება პროგრამების მოდიფიცირება ან საჭიროების შემთხვევაში ძველი პროგრამის სრულიად ახლით ჩანაცვლება.

აღსანიშნავია ბიზნეს სექტორის ჩართულობა პროფესიული სტუდენტების დასაქმებაში, შვეიცარიაში არსებული კომპანიების 30% აქტიურად თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ მთავრობასთან, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სტაჟიორებად იღებენ პროფესიულ სტუდენტებს, მათი თავდაპირველი ანაზღაურება შეადგენს 700$-ს ხოლო 3 წლის შემდგომ იზრდება და აღწევს დაახლოებით 1200$-ს, შესაძლებელია აღნიშნული თანხა არც თუ ისე დიდია, მაგრამ მაინც საკმაოდ მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის. (Hoffman Schwartz, 2015)

დღესდღეისობით შვეიცარიაში მოქმედებს 250 მდე პროფესიული პროგრამა, მათგან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს სამედიცინო სფერო, ელექტრო-ინჟინერია. სწავლების ხანგრძლივობა დამოკიდებული სასწავლო პროგრამაზე თუმცა ძირითადად 2დან 4 წლამდე გრძელდება. სწავლის დასრულების შემდგომ სტუდენტი იღებს სერთიფიკატს ან დიპლომს. (Swiss Education- Vocational Education and Training, 2019)

აღსანიშნავია შვეიცარიაში არსებული „Swiss Federal Institute For Vocational Education and Training - SFIVET"- შვეიცარიის პროფესიული განათლების და ტრენინგის ფედერალური ინსტიტუტი, წარმოადგენს შვეიცარიის ექსპერტთა ორგანიზაციას, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული განათლების უწყვეტ ტრენინგებს და მეთვალყურეობას, აქტიურად თანამშრომლობენ იმ დამსაქმებლებთან და ორგანიზაციებთან , რომლებიც ჩართულები არიანი პროფესიული სტუდენტების დასაქმებაში, აქტიურად მუშაობენ იმ საკითხე, რომ გააფართოვონ მათი პარტნიორი ორგანიზაციების რიცხვი.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ შვეიცარიაში არსებულ „კარიერის ცენტრებზე", რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეების კარიერული წინსვლის კუთხით. სკოლადამთავრებული მოსწავლეები სურვილის შემთხვევაში დახმარებას იღებენ აღნიშნული ცენტრების მხირდან, რომლებიც მოსაწვლეებს და მათ მშობლებს ამომწურავ ინფრომციას აწვდიან სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებთან

დაკავშირებით და მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე სთავაზობენ კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას და კონკრეტულ პროგრამას. აღნიშნული ცენტრები დიდი წარმატებით ფუნქციონირებენ.

თავი III: საქართველოში არსებული მდგომარეობა პროფესიულ განათლებაში

როგორც უკვე ზემოთ ვისაუბრეთ საქართველოში პროფესიული განათლების მნიშვნელობა და ინტერესი ოდითგანვე დიდი იყო, თუმცა ამის მიუხედავად დამოკიდებულება და აქტუალურობა ხშირად იცვლებოდა.

პროფესიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები დაიწყო 2007 წლიდან, რადგან იმდროისთვის არსებობდა პრობლემები პროფესიულ განათლებაში, რისი მოგვარებაც აუცილებლობას წარმოადგენდა, კერძოდ: არსებობდა პროფესიები, რისი დაუფლებაც პროფეისულ სტუდენტებს არ შეეძლოთ, ასევე პროფესიული განათლების ნაკლები პრესტიჟულობა, სწავლების ხარისხის დაბალი დონე და სხვ. (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012 წელი)

თუმცა აღსანიშნავია 2017 წლამდე განხორციელებული რამოდენიმე პროექტი. 2005 წლიდან სახელმწიფომ მუშაობა დაიწყო პროფესიული განათლების განვითარების და პოპულარიზაციის კუთხით. 2005 წელს 27 მაისის N90 საქართველოს მთავრობის დადგენილებით ჩამოყალიბდა კომისია- „პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის კომისია“, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროებიც იყვნენ ჩართულნი: განათლების და მეცნიერების მინისტრი, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი და სხვ.

2005 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N150 დადგენილებით დამუშავდა პროფესიული სასწავლებლის ცენტრების შექმნის კონცეფცია, სწორედ ამის შემდგომ განხორციელდა სულ 11 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეაბილიტაცია როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაწესებულებები აღიჭურვა შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

იმ პერიოდში აღსანიშნავია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურ მხარდაჭერას უწევდნენ საქართველოს: ამერიკის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (USDA), ევროკომისიის დელეგაცია საქართველოში (ESDG), ამერიკის შეერტებული შტატების საერთაშორისო განვითარების პროგრმა (USAID).

რაც შეეხება პროფეისული განათლების ძირეულ ცვლილებებს, ისინი დაიწყო უკვე 2007 წლიდან.

2007 წელს შემუშავდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, ხოლო მოგვიანებით ასევე შემუშავდა „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლების სტრატეგია“, სწორედ აღნიშნული პრექტები შეგვიძლია მივიჩნიოთ ბოლო ათწლეულის პირველ ნაბიჯებად, რომელიც გადაიდგა პროფესიული განათლების განვითარების კუთხით. ამ პერიოდიდან მოყოლებული აშენდა ახალი პროფესიული სასწავლებლები ხოლო უკვე არსებულები განახლდა თანამედროვე სტანდარტების დაცვით.

მოგვიანებით 2013 წელს შემუშავებული სტრატეგიით კი პროფესიული განათლების განვითარება და ხელშეწყობა ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იქცა. თემის შემდეგ ნაწილში მიმოვიხილავ იმ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც დღეს მოქმედებს და რის მიხედვითაც ხორციელდება პროფესიული განათლების მართვა, მიზნების და მიმართულებების განსაზღვრა:

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველო 2010 წელს ჩაერთო „ტურინის პროცესში“, (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011) რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების პრაქტიკის და თეორიის ანალიზს. აღნიშნული პროექტი საქართველოს შესაძლებლობას აძლევს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გააცნოს საერთაშორისო საზოგადოებას, ერთობლივი ანალიზის საშუალებით გამოიკვეთოს მიმდინარე პროცესების სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილება. ტურინის პროცესში ჩართვის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მიმდინარე რეფორმების, პროცესების დინამიკაში დაკვირვება და გაზიარება, რათა ყოველწლიურად მოხდეს შედეგების გაუმჯობესება. („განათლების და მეცნიერების ერთიანი სტატეგია 2017-2021“, 2017 წელი).

თემის შემდეგ ნაწილში განვიხილავთ განათლების სვეტს, სადაც მითითებულია ინფორმაცია დაწყებითი, უმაღლესი, პროფესიული განათლების და მათი შესაბამისი საფეხურების შესახებ. პროფესიული განათლება თავის მხრივ მოიცავს 5 საფეხურს- I-V , რომლებიც განისაზღვრება თავისი სწავლის შედეგების შესაბამისად. (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007 წელი)


საქართველოს განათლების სისტემა
აკადემიური განათლების სვეტი
პროფესიული განათლების სვეტ
დოქტორანტურა
სამედიცინო განათლება
სტომატოლოგიური განათლება
მაგისტრატურა
საერთო სამაგისტრო გამოცდები
ბაკალავრიატი
შუალედური კვალიფიკაცია
გამოცდები
საშუალო განათლება
X-XI
პროფესიული განათლების მეხუთე საფეხური
პროფესიული განათლების მეოთხე საფეხური
პროფესიული განათლების მესამე საფეხური
პროფესიული განათლების მეორე საფეხური
პროფესიული განათლების პირველი საფეხური
პროფესიული ტესტირება
VII-IX
საბაზო განათლება
I-VI
დაწყებითი განათლება
სკოლამდელი განათლება
სავალდებულო განათლება

პროფესიული განათლების სახეები:

პროფესიული განათლება საქართველში იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც თავის მხრივ მოციავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და სწავლის დასრულების შემდგომ შესაბამისი პროფესიული დიპლომით.

არაფორმალური პროფესიული განათლება- რომელიც მიღებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გარეთ, ხოლო მისი აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის ბრძანება „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“

საქართველში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- პროფესიული კოლეჯი
- საზოგადოებრივი კოლეჯი
- უმაღლესი საგამნანათლებლო დაწესებულება

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებს:

- 17 სსიპ - სახელწიფო საზოგადოებრივი/ პროფესიული კოლეჯი
- 6 ა(ი)იპ- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კოლეჯი
- 45 შპს - ავტორიზებული კერძო პროფესიული საზოგადოებრივი კოლეჯი

საზოგადოებრივი კოლეჯი - რომელიც ახორციელებს პროფესიულ სატგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.

პროფესიული კოლეჯი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

როდესაც ვსაუბრობთ პროფესიულ განათლებაზე, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი ერთ-ერთი ფორმა- დუალური განათლება, რომლის დანერგვასაც აქტიურად ცდილობს სახელმწიფო. დუალური განათლება გულისხმობს, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი ორ ნაწილად იღებს განათლებას, თავდაპირველად ის პროფესიულ სასწავლებელში ეუფლება აუცილებელ თეორიულ ცოდნას გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო როდესაც ამ კონკრეტული საკითხის მიმართ სრულიად მოხდება თეორიის შესწავლა , ამის შემდეგ სტუდენტი უკვე მიდის საწარმოში ან კომპანიაში სადაც მიღებულ ცოდნას უკვე პრაქტიკაში ანხორციელებს, პრაქტიკაში ეუფლება მას.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები- ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის დანერვა სახელმწიფომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო ამის მიზეზი გახდა ის , რომ საგნობრივი პროგრამები ხშირ შემთხვევებში ვერ უზუნველყოფდა პრაქტიკული უნარების სწორ განვითარებას.

რა თქმა უნდა აღსანიშნავია ის ცვლილებები და რეფორმები, რომლებიც მიმდინარეობს პროფესიული განათლების განვითარების კუთხით. თუმცა ამის მიუხედავად არსებობს რიგი საკითები, რომლიც მოგავრებას ჯერ ჯერობით სახელმწიფო ვერ ახერხებს.

§ 3.1 "საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ"

„საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ" დამტკიცდა 2018 წლის 20 სექტემბერს. „კანონის მიზანია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის განვითარება, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელეების ხელშეწყობა" (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. 2018 წელი)

კანონში კონკრეტულად არის გაწერილი მიზნები, რომლებიც გულისხმობს:

ა) ინდივიდის ხელშეწყობას, რომ იგი განვითარდეს როგორც პროფესიულად, ასევე პიროვნულად, ასევე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

ბ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება.

გ) პროფესიულმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ეს საკითხიც კანონში საკმაოდ ხაზგასმითაა მითითებული.

კანონის შემდეგ ნაწილში განმარტებულია, თუ როგორ ცდილობს სახელმწიფო დასახული მზინების მიღწევას. პირველ რიგში აუცილებელია პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ასევე ნათქვამია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში უნდა მოხდეს თანამედროვე მიდგომების გამოყენება რათა აღნიშნული ორმხრივი პროცესი უფრო საინტერესო გახდეს. ასევე ყურადღება გამახვილებულია პროფესიული განათლების ხარისხზე, რაც უნდა უზრუნველყოს გარე და შიდა მექანიზმებმა. პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლის მომზადება და კარიერული წინსვა დასახული მიზნების განხორციელებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. როდესაც ვსაუბრობთ განათლებაზე, სწავლებაზე და ცოდნის გადაცემაზე, მასწავლებლებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ, ამიტომ აუცილებებია პროფესიული განათლების მასწავლებლების მაღალკვალიფიციური და გამოცდილი ბაზის შექმნა, რომლებსაც ექნებათ მოტივაცია იმის, რომ მაქსიმალურად კარგად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა.

როგორც ვხედავთ სახელმწიფოს მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების შრომის ბაზარზე მორგება, აქედან გამომდინარე ყველა სიახლე, რეფორმა თუ სტრატეგია სწორედ მიზანმიმართული უნდა იყოს, რომ პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის დასრულების შემდგომ ინდივიდის ცოდნა სრულიად აკმაყოფილებდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

კანონის მე-8 მუხლში საუბარია პროფესიის სტანდარტზე და პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტზე, ხოლო მე-9 მუხლში საუბარია პროგრამებზე, რომ პროგრამები მტკიცდება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ და პროგრამები აუცილებლად უნდა იყოს კრედიტებით გაანგარიშებული.

მე-6 მუხლში განმარტებულია სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურები, რომ პროგრამმის დასრულების შემდგომ პირს ენიჭება საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი დონის კვალიფიკაცია, რაც თავისთავად დასტურდება დიპლომით და დიპლომის დანართით

მე-3 თავში, მუხლი 20-22, საუბარია იმ მმართველობით ორგანოებზე, რომლებიც ანხორციელებენ პროფეისული განათლების სისტემის მართვას. საქართველოს მთავრობა- სამინისტრო.

როგორც ვხედავთ კანონში დეტალურად არის ჩამოყალიბებული მიზნები, მიზნების მიღწევის საშუალებები და პროფესიული განათლების მიმართულებები, თუმცა ვფიქრობ, რომ საქართველოში პროფესიულ განათლებაში არსებული ამჟამინდელი მდგომარეობა განსხვავებულიავფიქრობ კანონში უფრო მეტი დეტალიზება უნდა მოხდეს, კანონი უფრო მეტად უნდა მოერგოს კონკრეტულად საქართველოს მაგალითს და საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდეს მზინების და ამოცანების დასახვა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველოში პროფესიული განათლება ცენტრალიზებულია და ვფიქრობ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეცენტრალიზებული მმართველობა უფრო მისაღები იქნება, რადგან საქართველოში თითოეულ რეგიონს აქვს პოტენციალი განავითაროს იმ კონკტერული რეგიონისთვის საჭირო და დამახასიათებელი პროფესიები და ამას დეცენტრალიზებული მმართველი ორგანოები ვფიქრობ უფრო კარგად შეძლებენ.

§ 3.2 "საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„

„საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020" წარმოადგენს პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტს, როგორც დოკუმენტიდან ხდება ცნობილი აღნიშნულ სტრატეგიაში წარმოდგენილი და გაზიარებულია მთავრობის, ბიზნეს სექტორის, დონორი ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, (როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი) შეხედულებები, თუ როგორ უნდა განვითარდეს სამომავლოდ პროფესიული განათლება.. რათქმაუნდა სტრატეგიაში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის ეკონომიკური მიმართულებები.

სტრატეგია მომზადდა 2013 წელს, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერით, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი და ჩამოყალიბებული კონკრეტული მიზნები და პრიორიტეტები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის ახლანდელი და მომავალი საჭიროებების შესრულებით ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. სწორედ 2013 წელს ქართულ მხარესა და ევროკავშირის წარმოამადგენლებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რისი მეშვეობითაც დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება, რომლებიც მიმართული იყო პროფესიული განათლების რეფორმის მხარდასაჭერად. ("საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„

სტრატეგიის ზოგადი მიზნები გულისხმობს: პირველ რიგში მთავრობის სამომავლო პროექტების მხარდაჭერას, კონკრეტულად კი სიღარიბის დაძლევასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ასევე „ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობას" რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნები. ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა, ნებისმიერი სოციალური ფენისთვის. ("საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„)

სტრატეგიის ერთ-ერთ კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის

ჩამოყალიბება, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის“ (“საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„) მინდა ყურადღება გავამახვილო სტრატეგიის ამ კონკრეტულ მიზანზე, რადგან ვფიქრობ, რომ ძალიან მიშნველოვანია, რადგან სამომავლოდ კარდის მომზადება და მისი დასაქმება არა მხოლოდ ადგილობრივი შრომის ბაზრისთვის მოხდება, არამედ კადრი იქნება კონკურენტუნარიანი, რომელსაც თავისუფლად ექნება საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების საშუალება.

ამ მიზნების მიღწევის შედეგად მივიღებთ ისეთი პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც ეფექტურად იფუნქციონირებს. შედეგად გვექნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით, სადაც დასაქმებულები იქნებიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები, ყველანაირი პირობა იქნება შექმნილი იმისათვის, რომ ასეთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ეთნიკური ჯგუფისა მიიღოს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლება მომავალში დასაქმების პერსპექტივით. (“საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„) დ ოკუმენტის შემდეგ ნაწილში განხილულია ის გამოწვევები, რის წინაშეც დღესდღეისობით პროფესიული განათლება დგას:

- მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პროფესიული სასწავლებლების სუსტი ქსელი, ერთის მხრივ სასწავლებლების რაოდენობა არც თუ ისე ბერვია, აქედან გამომდინარე ჩნდება ხელმისაწვდომობის პრობლემაც. პროფესიულ სასწავლებელში სწავლით დაინტერესებულ პირს თუ არ ექნება შესაძლებლობა მის სახლთა ახლოს, სოფელში ან რაიონში შეისწავლოს ის პროფესია, რისი ინტერესიც აქვს და ამის შესაძლებლობა მიეცემა სახლიდან ძალიან შორს, სამწუხაროდ აღნიშნული პირი დიდი ალბათობით ავერ დაიწყებს სწავლას.
- ასევე ეს არც თუ ისე ბევრი სასწავლებლები არ არიან მატერიალურ-ტექნიკური ბაზით შესაბამისად და საკმარისად აღჭურვილნი, (რაც ძირითად შემთხვევებში არასაკმარისი დაფინანსებითა რის გამოწვეული), ამ მიზეზის გამო სწავლის პროცესში

მოსწავლეებს რიგი საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნებათ, შესაძლებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშეც მოხდეს კონკრეტული საკითხების შესწავლა, თუმცა რათქმაუნდა მირებული ცოდნის ხარისხი დაბალი იქნება.

- შემდეგი გამოწვევა ეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებს, მათ კვალიფიკაციას და უკვე შემდგომ პროფესიულ განვითარებას. მწირად მოიპოვება ის ორგანიზაციები, კომპანიები თუ ტრენინგები, რომლებიც ახდენენ პროფესიული სასწავლებლების პედაგოების გადამზადებას და სამომავლო განვითარებას.

- მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება პროფესიულ სასწავლებლებში მიღბული ცოდნის კვალიფიკაციის აღიარების პრობლემა.

- გამოწვევად რჩება პროფესიული განათლების დაბალი პოპულარობა მოსახლეობაში, ეს ფაქტი შესაძლებელია იქიდან გამომდინარეობს, რომ თუნდაც დასაქმების პროცესში კონკრეტული ორგანიზაცია ახალი კადრის შერჩევის დროს უპირატესობას ანიჭებს არა პროფესიული განათლების მქონე პირს, არამდენ ისეთ პოტენციურ დასაქმებულს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს უმაღლეს სასწავლებელში.

სტრატეგიის შემდეგ ნაწილში კი უკვე საუბარია ხარჯებზე. სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები დაიფარება სხვადასხვა საშუალებებით. დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა, ასევე დაფინანსების მთავარ წყაროდ შეგვიძლია მივიჩნიოთ ის საერთაშორის დონორი ორგანიზაციები, რომელიც როგორც ფინანსურ ასევე ტექნიკური ბაზით მხარდაჭერას უზრუნველყოფენ. ასევე კერძო სექტორის მონაწილეობა და კერძო სპონსორები. (“საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 და სამოქმედო გეგმა„)

სამოქმედო გეგმა- სტრატეგიის განხორციელებას ესაჭიროება სამოქმედო გეგმა, რომელმაც თავისთავად უნდა უზრუნველყოს სტრატეგიის განხორციელება. სამოქმედო გეგმა გაყოფილია მოკლე და საშუალოვადიან პროგრამებად, რაც აიხსნება იმ ფაქტით, რომ დინამიკაში დაკვირვებიდან გამომდინარე დაყოფილ სამოქმედო

გეგმაში უფრო მარტივი იქნება ცვლილებების შეტანა და მორგება იმ საჭიროებებზე რომელიც დღისწესრიგში დადგება.(2013-2014, 2015-2016, 2017—2018, 2019-2020)

იმის დასადგენად, თუ როგორ ხორციელდება „საქართველოს პროფეისული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020“ აუცილებელია პროცესის დინამიკაში დაკვირვება. სწორედ ამიტომ სტრატეგიაში ნაჩვენებია თუ როგორ განხორციელდება მონიტორინგი: მოხდება

- წლიური ანგარიშიგება, რომელშიც კონკრეტულად და დეტალურად იქნება აღწერილი 1 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები
- ნახევარწლიანი მონიტორინგი
- საბოლოო მონიტორინგი

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შედეგები იქნება საჯარო და ნებისიერ დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მას.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრატეგია თავისთავად საკმაოდ კარგად არის ფოკუსირებული რიგ საკითებზე, თუ დეტალურად ჩავუღრმავდებით ვნახავთ, რომ მაში ძირითადი და საკვანძო საკითხები მოქცეულია, გამახვილებულია ყურადღება იმ მთავარ მიმართულებებზე რისი მიღწევაც მნიშვნელოვანია პროფეისული განათლების კუთხით, თუმცა უკეთესი იქნება, თუ მთავრობა უფრო აქტიურად იმუშავებს რეფორმების განხორციელებაზე, რადგან 2013 წლიდან საკამოდ ბევრი დრო გავიდა, თუმცა საკმაოდ ბევრი პრობლემა კვლავ რჩება გადასაჭრელი, რაც ამ პერიოდის განმავლობაში ალბათ აუცილებლად უნდა მოგვარებულიყო. თუ არ მოხდა ძირეული პრობლემების აღმოფხვრა, ზედაპირული ცვილებების განხორციეცება დიდ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანს.

§ 3.3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი თემა ეხება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის კვლევას, აუცილებელია მიმოვიხილოთ საქართველოში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები.

ავტორიზაცია-განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი. პროცედურა, როდესაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს სტატუსის მოპოვება. ავტორიზაციის გავლის შემდგომ დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი და დაწესებულება იღებს- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს. (საქართველოს პარლამენტი, 2007)

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ვადა განსაზღვრულია 6 წლით - „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის თანახმად.

„ავტორიზაცია საგანმანათლებლო დაწესებულების მისიიდან გამომდინარე ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას შემდეგ სტანდარტებთან“: (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი)

ავტორიზაციის სტანდარტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამები
- მატერიალური რესურსები
- ადამიანური რესურსები

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2010)

ამ შემთხვევაში ჩვენ დეტალურად მიმოვიხილავთ მატერიალურ რესურსებს.

მატერიალური რესურსის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება უნდა აკმაყოფიელბდეს შესაბამის პირობებს:

ა) თავდაპირველად ეს არის შენობა-ნაგებობა რომლის საერთო ფართი არანაკლები უნდა იყოს 400 კვ.მ -ის, თუმცა არსებობს გამონაკლისი, (100 პროფესიულ

სტუდენტზე ნაკლები რაოდენობის შემთხვევაში ავტორიზაციის საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას)

ა.ა) აუცილებელია სათანადო ინვენტარით აღჭრუვილი სასწავლო ფართი

ბ) დაწესებულებაში აუცილებელია იყოს დაკმაყოფილებული შემდეგი პირობები: რაც ეხება ელექტროენერგიის მიწოდებს სისტემას, უწყვეტ რეჟიმში, მოწესრიგებული სველი წერტილები, ასევე გათბობის საშუალება ზამთარში და ბუნებრივი გაანათების შესაძლებლობა.

გ) ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკა, რომელიც უნდა ფლობდეს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ მატარებელზე არსებულ ლიტერატურას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას.

დ) შემდეგი საკითხი კი უკვე ეხება საიფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საგანმანათლებლო საქმიანობაში.

ე)დაწესებულებაში უნდა მიმდინარეობდეს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ვ) აუცილებელია დაწესებულებაში პერსონალის და პროფესიული სტუდენტის უსაფრთხოების დაცვა, რისთვისაც აუცილებლად უნდა არსებობდეს:

ვ.ა) ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ვ.ბ) ევაკუაციის გეგმა

ვ.გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

ვ.დ) წესრიგის დაცვის მექანიზმები

ზ) ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

თ) ვებგვერდი- სადაც მუდმივად ხდება ინფორმაციის განახლება.

ი) აუცილებელია შემუშავებული იყოს დაწესებულების განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, მისიიდან გამომდინარე, რაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას.

ზემოთ მოყვანილ ავტორიზაციის სტანდარტში ვფიქრობ უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო და პრაქტიკის განსახორციელებელ ლაბორატორიებს, რადგან ამ მხრივ არც თუ ისე კარგი მდგომარეობაა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, (კვლევის შედეგებში უფრო დეტალურად ვიხილავთ) მათ არ აქვთ საგნის შესაბამისი ლაბორატორიები და ძირითად შემთხვევებში რამოდენიმე ერთმანეთისგან გასხვავებული საგნები ერთ ლაბორატორიას ინაწილებენ და იქ მიმდინარეობს სწავლების პროცესი, რაც ვფიქრობ სწავლის ხარისხზე ცუდად აისახება. ასევე მნიშვნელოვანია სტანდარტში უფრო დიდი ყურადღების გამახვილება სწავლების პროცესში გამოყენებულ ლიტერატურაზე, რადგან საგანამანთლებლო დაწესებულებებში არსებული ლიტერატურაც კი არ არის საკმარისი და დროტა განმავლობაში უფრო და უფრო მოძველებული ხდება.

კვლევითი ნაწილი

კვლევის აღწერა, მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის ზოგადი აღწერა და მეთოდოლოგია- კვლევის პროცესში გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. სულ გამოიკითხა 80 პედაგოგი, 50 მამრობითი და 30 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, პედაგოგთა ასაკი მერყეობდა 25-65 წლამდე. რესპოდენტებად დაწესებულების პედაგოგები შევარჩიეთ და არა სტუდენტები, რადგან პედაგოგი პირველია, ვინც ეჯახება სწავლების პროცესში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემებს, მან უფრო კარგად იცის საგნის სწავლების დროს რა მატერიალური რესურის ნაკლებობის წინაშე დგება და ყველაზე მეტად რა აბრკოლებს საგნის სრულყოფილად შესწავლის დროს.

რესპოდენტები შეირჩა - ავტორიზებული სახელმწიფო/საზოგადოებრვივი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მოდულური პროგრამების პედაგოგები, იქიდან გამომდინარე, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებობს სხვადასხვა პროგრამები (მოდულური პროგრამები, დუალური პროგრამები, მოკლევადიანი პროგრამები) და მათი როგორც სწავლების პროცესი, ასევე სწავლების დროს გამოყენებული მატერიალური-ტექნიკური ბაზის საჭიროებები განსხვავდება ერთამენთისგან და იმ შემთხვევაში თუ არ ავირჩევდით კონკრეტულ მიმართულებას, კვლევის შედეგები განზოგადდებოდა, აქედან გამომიდნარე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დაგვევიწროვებინა კვლევის არეალი და კონკრეტიგა გაგვეკეთებინა მხოლოდ მოდულურ პროგრამებზე. ასევე ამ მიზეზით შევარჩიეთ მხოლოდ ავტორიზებული სახელმწიფო პროფესიული საგანამათლებლო დაწესებულებები, რადგან კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა და შერეული კვლევა ვერ მოგვცემდა ერთ შედეგს.

კითხვარის შედგენის დროს ვიხელმძღვანელეთ „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით“, სტანდარტის მე-7 მუხლში - მითითებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი“, კონკრეტულად არის მითითებული და განხილული ის რესურსები, რასაც უნდა აკმაყოფიულებდეს საგანმანათლებლო დაწესებულება. უნდა

აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა ავტორიზაცია გაიარეს არაუმეტეს 4 წლის წინ, აქედან გამომდინარე ისინი სრულიად უნდა აკმაყოფილებდნენ ავტორიზაციის სტანდარტებს.

გამოვიკითხეთ საქართველოს მასშტაბით არსებული 5 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები, აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებია: თბილისში მდებარე „მერმისი“, (საგანმანათლებლო დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2018 წლის, 11 სექტემბერს,) (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, გადაწყვეტილება, N159) მესტიაში მდებარე „თეთნულდი“ (საგანმანათლებლო დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2015 წლის, 24 დეკემბერს)(განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, გადაწყვეტილება N45) და „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“, (საგანმანათლებლო დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა 2016 წლის,23 სექტემბერს,) (განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი, გადაწყვეტილება, N29) რომელსაც აქვს 3 ფილიალი, თიანეთში, წინამძღვრიანთარში და ყაზბეგში, (მოხდა სამივე ფილიალის, ჩვენს ინტერესის სფეროში მყოფი პედაგოგების გამოკითხვა)

კვლევის დაწყებამდე გავეცანით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას, და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბეთ **ჰიპოთეზა,** რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მათთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას.

კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესში მატერიალური-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესაძლებლობები და პირობები. (მოდულური პროგრამების მაგალითზე)

კითხვარის სრული ვერსია მითითებულია დანართში (დანართი 1)

კითხვარში პირველი კითხვა სხვადასხვა ასპექტებს მოიცავდა და ერთიანდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული გარემოს ირგვლივ.

- დაწესებულებაში არის სწავლების პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: (+ დიახ: - არა)

--- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა

--- სუფთა და მოწესრიგებული სველი წერტილები

--- ბუნებრივი განათების შესაძლებლობა

--- გათბობის საშუალება

--- გაგრილების საშუალება (კონდიციონერები)

სხვა ----------

როგორც კვლევის შედეგებიდან გახდა ცნობილი ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, მოწესრიგებული სველი წერტილები და გათბობის საშუალება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების 95% ში მოწესრიგებულია, გამოკითხულთა 5% (4 პედაგოგი) იხსენებს ფაქტს, როდესაც ელექტრო ენერგიის მიწოდება შეწყდა ქალაქის მასშტაბით, აქედან გამომდინარე აღნიშნული შეფერხება დაწესებულების ბრალი არ ყოფილა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუდენტებისთვის გამოყოფილ აუდიტორიებსში, იქ სადაც სწავლის პროცესი მიმდინარეობს გაგრილების საშუალება (კონდიციონერი) არცერთ დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი.

- შემდეგი კითხვა ეხებოდა ბეჭდურ ლიტერატურას

გამოკითხულთა 75% ამბობს, რომ „სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა არასაკმარისია „ 15% ამბობს, რომ „სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა საკმარისია, ხოლო 10% ამბობს, რომ „სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა ნაწილობრივ საკმარისია.



- შემდეგი კითხვა ეხებოდა ელექტრონულ ლიტერატურას

რესპოდენტების 15%-მა დააფიქსირა, რომ „სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურა სრულიად ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე“ 15% - დააფიქსირა, რომ „სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურის მცირე ნაწილი ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე, ხოლო 70% დააფიქსირა, რომ „სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე.



- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

გამოკითხულთა 90% ამბობს, რომ საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში შესაძლებელია. ხოლო 10% - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების პროცესში ნაწილობრივაა შესაძლებელია



- სწავლების პროცესში დაცულია პერსონალის და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

აღმოჩნდა, რომ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი ყველა დაწესებულებაში არსებობს, ასევე თითოეულ კოლეჯს აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, ასევე ყველა დაწესებულებაშია გამოკრული ევაკუაციის გეგმა.

- კომპიუტერების ოთახი

დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით

დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით, რომლებსაც წვდომა აქვთ ინტერნეტთან

95% დააფიქსირა, რომ „დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით,რომლებსაც წვდომა აქვთ ინტერნეტთან“, ხოლო 5% დააფიქსირა, რომ კომპიუტერებით აღჭურვილია დაწესებულება, მაგრამ ინტერნეთთან აქვს ხანდახან წვდომის პრობლემა



- ლაბორატორიები პრაქტიკის განსახორციელებლად

გამოკითხულთა 80% მიიჩნევს, რომ ამ მხრივ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პრობლემა და დაწესებულებაში არ არის სწავლის პროცესში საჭირო შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორია, განსაკუთრებით ისეთი საგნების სწავლების პროცესში როგორიცაა: ქიმია, ფიზიკა და ა.შ. აქ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან მეფუტკრეობას- მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული პროგრამის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, რადგან დაწესებულებაში არ არსებობს ლაბორატორია, სადაც შეძლებენ თაფლზე ანალიზების ჩატარებას , ასევე დაწესებულებას არ აქვს საკმარისი სკები თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის, თუმცა ეს აუცილებელია.



- შემდეგი კითხვა ეხებოდა ადაპტირებულ გარემოს- აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ გამოკითხულ დაწესებულებებში სრულიად მოწესრიგებულია პანდუსი და ასევე 3 მათგანში („ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი)- დაამონტაჟეს ასევე შესაბამისი ლიფტი.

- კვლევის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე „სხვა რა სახის პრობლემებს აწყდებიან პედაგოგები სწავლების პროცესში“- აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 90%

ყველაზე მეტად განიცდის რესურსის ნაკლებობას, მოუწესრიგებელ ლაბორატორიებს და ტექნიკის ნაკლებობას რაც ხელს უშლის სწავლების პროცესს. ისინი აღნიშნავენ, რომ თეორისს და პრაქტიკის სწავლების დროს ექმნებათ პრობლემები. თეორია- რადგან მოძველებული ლიტერატურა თანამედროვე სწავლების მოთხოვნებს ვერ პასუხობს, ხოლო პრაქტიკა ზემოთ როგორც უკვე აღვნიშნე პრაქტიკის განსახორციელებელი ლაბორატორიები და სხვა.

აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია კონკრეტული დასკვნების ჩამოყალიბება. ჩვენი კვლევის ჩატარების არეალი მოიცავდა როგორც უკვე აღვნიშნე სვანეთში, შიდა ქართლში, მცხეთა მთაინეთსა და თბილისში მდებარე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. . შერჩეული იყო ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი პროფესიული კოლეჯები კონკრეტულად კი მოდულური პროგრამის პედაგოგები.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ჩვენს მიერ შერჩეულ ყველა დაწესებულებაში საგანმანათლებლო შენობა, აუდიტორიები, სველი წერტილები, ინტერიერი და ექსტერიერი უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული.

ჩემი აზრით კვლევის შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები უფრო მეტ ყურადღებას და დიდ მნიშვნელობას უთმობენ თვითონ დაწესებულების ვიზუალურ მხარეს და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია სწავლასთან და სწავლის პროცესში გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსთან უკანა პლანზეა გადაწეული.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს დაწესებულებებში არსებული ბეჭდური ლიტერატურა არ არის საკმარისი სწავლის პროცესის სრულყოფილად ჩასატარებლად, ლიტერატურა მოძველებულია, ამიტომ კონკრეტულ პროგრამებზე სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ თანამედროვე განათლებას.

შემდეგ პრობლემა, რაც გამოვლინდა კვლევის დროს არის არსებული შინაარსობრივად გაუმართავლი ლიტერატურა- მათში გამოყენებულია ისეთი ტერმინები, რომლებიც ქართულ შესიტყვებას არ შეესაბამება და ასევე პედაგოგების ნაწილმა (25%) აღნიშნა, რომ მათთვის მიწოდებული ლიტერატურა, რითაც

ხელმძღვანელობენ სწავლების პროცესში , არ არის კვალიფიციური სპეციალისტების მეირ დაწერილი, პედაგოგებმა აღნიშნეს ის ფაქტიც, რომ შეცდომების აღმოჩემის შემდეგ სამწუხაროდ მათ არ აქვთ მოდულის შესწორების უფლება.

ელექტრონული ლიტერატურა- ამ შემთხვევაშიც იმავე სახის პრობლემას აწყდებიან პედაგოგები, ელექტრონული ლიტერატურაც არ არის საკმარისი სწავლების პროცესის წასამართად და თავად პედაგოგებს უწევთ მასალების მოძიება, თუმცა მათ მიერ მოძინებული მასალების მხოლოდ მცირე ნაწილია ქართულ ენაზე, ფიქრობენ , რომ დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ მუდმივად განახლებადი ელექტრონული ლიტერატურის მიწოდება პედაგოგებისთვის და პროფესიული სტუდენეტბისთვის.

კვლევის შედეგად ჩვენი ერთ-ერთი ვარაუდი დადასტურდა, რომ სწავლის პროცესში პრაქტიკის განსახორციელებლად საჭირო ლაბორატორიები დაწესებულებებში არ არსებობს, ან არის, მაგრამ არასაკმარისი რესურსის გამო შესაბამის პრაქტიკას ვერ ანხორციელებს პედაგოგი.

კითხვარში არსებულმა ერთ-ერთმა შეკითხვამ „ სხვა რა სახის პრობლემებს აწყდებიან სწავლების პროცესში პედაგოგები“ - საინტერესო მიგნებამდე მიგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ დაწესებულების საკუთრებაში არსებული რესურსი სწავლების პროცესის წარმართვისთვის არ არის საკმარისი, რაც პროფესიულ პედაგოგების 90%-ს პრობლემებს უქმნის, კონკრეტულად იგულისხმება სკები, ფუტკრები და მათი რაოდენობა, რაც მაგალითად თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე მინიმუმ 5 სკას უნდა წარმოადგენდეს, თუმცა ამხელა რესურსი დაწესებულებებს არ გააჩნიათ.

ასევე აგრეგატების ნაკლებობის პრობლემის წინაშე დგანან პედაგოგები, დაწესებულებას საკუთრებაში არ ყავს საკუთარი ტექნიკა, არსებობს სიმულატორები, თუმცა პრაქტიკული განათლების მიღება მხოლოდ სიმულატორების დახმარებით შეუძლებელია.

იმის გამო, რომ დაწესებულებების საკუთრებაში არ არის საკმარისი რესურსი, ისინი კერძო პირებთან აფორმებენ მემორანდუმებს და სწორედ კერძო პირების რესურს იყენებენ, თუმცა ამ შემთვევაშიც ახალი პრობლემა ჩნდება, კერძო პირზე დამოკიდებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საჭიროების დროს ყოველთვის ვერ იყენებს აღნიშნულ რესურსს.

ჩემი აზრით პროფესიული განათლების უპირატესობა და მთავარი მიზანი მიღებული თეორიული განათლების პრაქტიკაში გამყარება და გამოცდაა, თუმცა თუ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ვერ ანხორციელებენ პროფესიულ-პრაქტიკულ სწავლებას, მაშინ მათი უპირატესობა ეჭქვეშ დგება.

დასკვნები

- ზემოთ მოყვანილ ინფრომაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული განათლების განვითარება ქვეყნისთვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ევროპაში დაწინაურებული ქვეყნების ეკონომიკა სწორედ პროფესიულ განათლებას ეყრდნობა.
- პროფესიულ განათლებას საქართველოში მდიდარი ისტორია აქვს. საუკუნეების განმავლობაში ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება ყოველთვის დიდი მნიშვნელობით სარგებლობდა. სწორედ ამ პრაქტიკულმა ცოდნამ და გამოცდილების მოვავალი თაობისთვის გადაცემამ დღემდე შემოგვინახა მრავალი მნიშვნელოვანი პროფესია.
- მნიშვნელოვანია ის რეფორმები და სიახლეები, რომლებსაც ახორციელებს საქართველოს მთავრობა პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, თუმცა აღნიშნული რეფორმების მიუხედავად ამ კუთით ქვეყანა კვლავ დიდი პრობლემების წინაშე დგას.
- აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები გარემონტდა, აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით, თუმცა როგორც კვლევის შედეგებიდან ვნახეთ არსებობს რიგი საკითები, რისი გამოსწორებაც ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ყველაზე მნიშვნელოვანია ამ შემთვევაში სწავლის პროცესში საჭირო რესურსის ნაკლებობა ან არარსებობაა. პროფესიული განათლება ხომ თავის მხრივ გულისხმობს პრაქტიკაზე დაფუძნებულ ცოდნის მიღებას, მაგრამ დაწესებულება თუ არ არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, მაშინ რჩება მხოლოდ თეორიულად მიღებული ცოდნა, პრაქტიკის გარეშე, ვფიქრობ კარგი იქნება სახელმწიფო ეს გაითვალისწინოს.
- როდესაც საგანმანათლებლო პროგრამა გულისხმობს მემანქანის პროფესიის დაუფლებას, თუმცა დაწესებულებას აქვს მხოლოდ სიმულატორები ეს რა თქმა

უნდა სწავლების პროცესში პრობლემებს ქმნის და ცხადია პროფესიული სტუდენტი მხოლოდ სიმულატორის დახმარებით ვერ შეძლებს მემანქანის პროფესიის დაუფებას.

- ასევე აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არიან საკმარისად აღჭურვილნი სწავლების პროცესში საჭირო შესაბამისი ლიტერატურით, არც ბეჭდური და არ ელექტრონული სახით, მათ ბაზაში არსებული ლიტერატურა მოძველებულია, ვფიქორბ აღნიშნული საკითხის მონიტორინგიც უნდა გამოხოროციელდეს და კარგი იქნება თუ სახელმწიფო იზრუნებს საგანმანთლებლო დაწესებულებების შესაბამისი სწავლის პროცესში საჭირო ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკით აღჭურვაზე.
- კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები „ფასადური“ სისტემით ხელმძღვანელობენ, ვგულისხმობ ვიზუალურად მოწესრიგებულ დაწესებულებას, აუდიტორიებს, რაც ნამდვილად კარგია, თუმცა აქვე ჩნდება მეორე პრობლემა გამოყოფილი თანხები იხარჯება დაწესებულებების ვიზუალის გასაუმჯობესებლად და არა სწავლის ხარისხის, არა იმ აუცილებები რესურსის შეძენაზე, რომელიც პროფესიულ სტუდენტს სჭირდება.

რეკომენდაციები

- კარგი იქნება სახელმწიფომ ჩაატაროს კვლევა, პირველ ეტაპზე ავტორიზებულ სახელმწიფო საზოგადოებრივ/პროფესიულ კოლეჯებში , დეტალურად შეისწავლონ ის, თუ სწავლების პროცესში თითოეული პროგრამა და მოდული რა მატერიალური-ტექნიკური რესურსის ნაკლებობას განიცდის, შემდგომ თანხების მოძიებას, რომ აღნიშნული რესურსის ნაკლებობის პრობლემა აღმოიფხვრას. შედეგად მივიღებთ პროფესიულ საგანამათლებლო დაწესებულებებს, სადაც შესაძლებელი იქნება მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიღება.
- ასევე ვფიქრობ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა, ამისთვის სახელმწიფომ მუდმივი კავშირი უნდა იქონიოს შრომის ბაზართან და მოამზადოს კვალიფიციური პროფესიული სტუდენტები სწორედ იმ სპეციალობებში, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.
- იმის შემდეგ რაც სახელმწიფო გააუმჯობესებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხარისხს და ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების დასაქმებას, აუცილებელია საზოგადოებაში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაზრდა. ბოლო პერიოდის განმავლობაში საქართველოში პროფესიული განათლება აქტუალური საკითხი გახდა, მაგრამ ამის მიუხედავად საზოგადოებაში დიდი პოპულარობით მაინც ვერ სარგებლობს, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სხავასხავა პროექტების მომზადება და საზოგადოებაში ინტერესის ამაღლება.
- პროფესიული განათლება საქართველოში ცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ყველა ავტორიზებული სახელმწიფო საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯის მართვა ხდება ერთი სისტემით, თუმცა მათი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე (აღნიშნული კოლეჯები მთელს საქართველოშია) უკეთესი იქნებოდა თითოეული დაწესებულებისთვის მასზე და მის მდებარეობაზე მორგებული პროგრამების და მოდულების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ლ, ღლონტი ლ, (2006) - პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები.
2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2012). ანგარიში https://eqe.ge/res/docs/e-bookletonOSandQF4GEO.pdf
3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები (2012) https://eqe.ge/res/docs/e-bookletonOSandQF4GEO.pdf
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს N29 გადაწყვეტილება https://eqe.ge/geo/decisions/show/9389
5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს N45 გადაწყვეტილება https://eqe.ge/geo/decisions/show/9169
6. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს N159 გადაწყვეტილება https://eqe.ge/geo/decisions/show/9353
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ. (2010, 1 ოქტომბერი). საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ". ვებ-გვერდი: eqe.ge/res/docs/2014121215303047241.doc
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება, 2011,. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2014963
9. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. (2007, 28 მარტი). №4528_Iს. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608

10. საქართველოს მთავრობის #90 დადგენილება. (2005, 27 მაისი). პროფესიული განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1284065
11. საქართველოს მთავრობის #150 დადგენილება. (2005, 31 აგვისტო). საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის დამტკიცების შესახებ. ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/10372
12. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეროვნული ანგარიშები. მშპ https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp#
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). პროფესიული განათლება. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა საგანმანათლებლო დაწესებულებების დარგობრივი ჯგუფების მიხედვით. ვებ-გვერდი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2101&lang=geo
14. European Center for the Development of Vocational Training (Cedefop) Belgian Presidency Education and Training, 2010 – publication " The Bruges Comunique on Enhanced European Cooperation in Vocational Education and Training for the period 2011-2020". Web-site- https://www.cedefop.europa.eu/files/bruges_en.pdf
15. European Commision – report on "Europe 2020 Strategy " – web-site https://ec.europa.eu/info/business-economy-euro/economic-and-fiscal-policy-coordination/eu-economic-governance-monitoring-prevention-correction/european-semester/framework/europe-2020-strategy_en#relatedlinks
16. Federal Ministry of Education and Research- publication "The German Vocational And Training System" – web site - https://www.bmbf.de/en/the-german-vocational-training-system-2129.html
17. Federal Ministry of Education and Research (2015), report on "Vocational Education and Training https://www.bmbf.de/upload_filestore/pub/Berufsbildungsbericht_2015_eng.pdf
18. Hoffman N. & Schwartz R. (March 2015). Gold Standard: The Swiss Vocational Education and Training System; International Comparative Study of Vocational Education Systems; the Center on International Education Benchmarking of the

National Center on Education and the Economy. the Center on International Education Benchmarking. Web site: www.ncee.org/wp-content/.../SWISSVETMarch11.pdf

19. Katelyn Brush, (2016) Vocational Education from 1900th to today, web site http://.studentcaf.com/vocational-education-1900s-today/
20. Swiss Education – (2015) report on "Vocational Education and Training" web-site https://swisseducation.educa.ch/en/vocational-education-and-training-0
21. . Челидзе, К. (1981). Очерк истории среднего специального образования в Грузии. თბილისი.

დანართი N1:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სასწავლო პროცესში გამოყენების პრაქტიკის კვლევა, მოდულური საგამნანათლებლო პროგრამების მაგალითზე

1. სქესი : მდედრობითი მამრობითი
2. ასაკი ----------
3. რომელ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხართ დასაქმებული? ----------
4. რამდენი წელია რაც დასაქმებული ხართ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში? ----------
5. დაასახელეთ საგანი ან საგნები რომლებსაც ასწავლით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ----------
6. დაწესებულებაში არის სწავლების პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: (დიახ + არა -)

--- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა

--- სუფთა და მოწესრიგებული სველი წერტილები

--- ბუნებრივი განათების შესაძლებლობა

--- გათბობის საშუალება

--- გაგრილების საშუალება (კონდიციონერები)

--- ლაბორატორიები პრაქტიკის განსახორციელებლად

სხვა ----------

7. ბეჭდური ლიტერატურა

---- სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა ხელმისაწვდომია და რაოდენობა საკმარისია თითოეული მოსწავლისთვის

----- სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა ხელმისაწვდომია, მაგრამ რაოდენობა არ არის ხელმისაწვდომი თითოეული მოსწავლისთვის

-----სწავლების პროცესში საჭირო, პროგრამის შესაბამისი ბეჭდური ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ბიბლიოთეკაში

სხვა ----------

8. ელექტორნული ბიბლიოთეკა

------- სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურა სრულიად ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე

------ სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურის მცირე ნაწილი ხელმისაწვდომია დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე

------ სწავლების პროცესში საჭირო ლიტერატურა საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი დაწესებულების ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზაზე

სხვა ----------

9. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

---- საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება შესაძლებელია სწავლების პროცესში

---- საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება არ არის შესაძლებელი სწავლების პროცესში

---- საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ნაწილობრივ არის შესაძლებელია სწავლების პროცესში

სხვა ----------

10. სწავლების პროცესში დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება (+ დიახ - არა)

----- თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ევაკუაციის გეგმა

----- სამედიცინო დახმარებოის აღმოჩენის მექანიზმი

------ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი

სხვა ----------

11. ადაპტირებული გარემო

---- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პროფეისული სტუდენტებისთვის

---- დაწესებულებას არ აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პროფეისული სტუდენტებისთვის

სხვა ----------

12. სამეცნიერო ლაბორატორია

----- დაწესებულებაში არსებობს სწავლის პროცესში საჭირო, კურსის შესაბამისი სამეცნიერო ლაბორატორია

----- დაწესებულებაში არ არსებობს სწავლის პროცესში საჭირო, კურსის შესაბამისი სამეცნიერო ლაბორატორია

----- დაწესებულებაში არსებობს ლაბორატორია, მაგრამ არ აკმაყოფილებს სტანდარტებს

სხვა ----------

13. კომპიუტერების ოთახი

---- დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით

---- დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით, რომლებსაც წვდომა აქვთ ინტერნეტთან

---- დაწესებულება აღჭურვილია სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი კომპიუტერებით

სხვა ----------

14. სხვა რაიმე სახის პროიბლემებს ხომ არ აწყდებით სწავლების პროცესში / თუ კი რა პრობლემაა და როგორ ხედავთ ამ პრობლემის გადაჭრის გზებს? ----------
---

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Avtandilashvili Nino

Research of Practical Application of the Material-Technical Base of Vocational Education Institutions in the Course of Modular Educational Programs

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Educational sciences

Tbilisi

2019